

# 24 საათი

www.24hours.ge

ყოველდღიური

გაზეთი 24 საათი

სამთავრობო, 25 მარტი, 2004 წელი, №71 (620)

ფასი 50 თეთრი

## "ხელშეწყობილი ადამიანები აღარ იარსებებენ"

ლელა მჭედლიძე

"ოპორტივობა გვიკვირებს - ჩვენი მეთოდები არ მოსწონს. იმ ბიჭების მისამართით კი, ვინც ეს დავალება შეასრულა, ერთ მადლობას არ გამოეცხადებენ," - განაცხადა გვიან ღამით გამართულ პრესკონფერენციაზე მიხეილ სააკაშვილმა. ქვეყნის მეთურმა ეს რეპლიკა სვანეთში ჩატარებულ ოპერაციას მოაყოლა. მისი თქმით, ეს ოპერაცია მისი განკარგულებით დაიგეგმა და ოპერატიულად შესრულდა.

პრეზიდენტი სვანეთში ჩატარებული ოპერაციის ერთ-ერთი მონაწილე, მფრინვე შამილ კორკოტაძეს მომავალ კვირას თავისთან სადილად ეპატივცემბა და ამგვარი ჟესტით აპირებს პატივისცემის გამოხატვას იმ პიროვნებისადმი, რომელმაც ვერტმფრენის საქონელ სერიოზული დაზიანების მიუხედავად, დავალება ბოლომდე შეასრულა - დაზიანებული ვერტმფრენიდან მფრინველს სამ წუთში გადააგვინა და განაგრძო ოპერაცია.

საკაშვილი სვანეთში ჩატარებული ოპერაციით კმაყოფილია. ამ ოპერაციის შედეგად, ერთი მხრივ, ბოლო მოუღო "საერთაშორისო ტერორისტების თავშესაფრად გადაქცეულ აფრასიძეების ბანდას". ამასთან, როგორც ეს, ისე სხვა ანტიკრიმინალური ოპერაციები, სააკაშვილს იმის თქმის საფუძველს აძლევს, რომ "მიუხედავად სისინისა, ყიფინისა სხვადასხვა პოლიტიკოსების მხრიდან - ჩვენ არ მოგვწონს მეთოდები და ნილიანები - ჩვენს ქვეყანაში ხელშეწყობილი ადამიანები აღარ იარსებებენ." ამგვარ ხალხს შორის სააკაშვილმა გუშინ თავისი ყოფილი კლასელი ლევან ქისტაურიც მოიხსენია. როგორც თავად აცხადებს, საბაჟო დეპარტამენტის შეფის დაპატიმრების ამბავი ტელევიზიიდან შეიტყო და "ადამიანურად ეწყინა". კიდევ, მაგრამ ინტერვიუებში, რომ "სახელმწიფოს ინტერესებმა კლასელობა არ იცის".

პრეზიდენტი უკმაყოფილოა იმით, რომ "ნაციონალური მოძრაობის" წევრებისა და პატიმარების "ერთობის" გარდა, სადემუკრატო იმუნტეტის შეზღუდვის ინიციატივას არაფერს გამოხატა. როგორც ქვეყნის მეთაური ასკენის, ეს მოხდა იმიტომ, რომ პარტიები საარჩევნო სივრცეში ადგილებს ყიდინან. სამაგიეროდ კი, არცთუ სუფთა წარსულის მქონე ხალხი ხელმძღვანელობს გარანტიების ითხოვს.

პრეზიდენტი გულწრფელად ამბობს რომ მას "ზურგში - პარლამენტში მეორე ფრონტის გახსნა არ სჭირდება. არ სჭირდება ხალხი, რომელიც ყველაფერზე ხელს აიღებს და შეინანაღდებდა იმასაც კი, რაც კარგია საქართველოსათვის." პრეზიდენტი დარწმუნებულია, რომ მას და სახელისუფლებო პარტიას უკვე ჰყავთ ოპოზიციის პარლამენტში, არჩეული მაჟორიტარი დემუტატების სახით.

აჭარასთან დაკავშირებით რუსი ჟურნალისტის შეკითხვაზე, სააკაშვილმა განაცხადა, რომ ცენტრსა და რეგიონის ხელისუფლებას შორის დადებული შეთანხმება "ჭრიალ-ჭრიალით", მაგრამ მინც სრულდება. ამასთან, პრეზიდენტი ყურადღებას ამახვილებს სერიოზულ საფრთხეზე: მისი ინფორმაციით, შესაძლოა აჭარაში გამოჩნდნენ დაქირავებული "ბოვიეკები", მაგრამ ქვეყნის მეთაურს სასაზღვრო უწყების და სხვა შესაბამისი სტრუქტურების იმედი აქვს; და იმედი აქვს აჭარის მოსახლეობისა. "აჭარელმა ხალხმა თავად ისწავლა საკუთარი თავის დაცვა... პოლიტიკანების ნაკვანძვი, რომ, არიქა, აჭარაში აფხაზების მსგავსი ვითარება არ შეიქმნასო, არარეალურია, რადგან აჭარლები ქართული საზოგადოების საუკეთესო, ყველაზე გამბედავი ნაწილი... და მანტაუს აჭარლების სახელით ვერაფერს შეძლებს!" - დარწმუნებულია მიხეილ სააკაშვილი.

|         |    |
|---------|----|
| თბილისი | 22 |
| ქუთაისი | 23 |
| ბათუმი  | 23 |
| სოხუმი  | 22 |
| ფოთი    | 24 |
| თელავი  | 21 |
| ზუგდიდი | 23 |
| ბორჯი   | 19 |
| ახვამია | 22 |

|   |        |
|---|--------|
| უცხოური ვალუტის<br>ოფიციალური კურსი<br>ლართან მიმართებაში |        |
| აშშ დოლარი  | 2.0000 |
| ევრო  | 2.4580 |
| გირვანქა სტერლ.   | 3.6908 |
| რუბლი   | 0.0702 |

# აფრასიძეების ისტორია დასრულდა

თამარ ქაშიტაძე

სვანეთსა და, საერთოდ, მთელ საქართველოში ლეგენდად ქცეული აფრასიძეების ოჯახის ისტორია დასრულდა. გუშინ გამთენიისას შინაგან საქმეთა სამინისტროს სპეცდანიშნულების რაზმი, რომელსაც უშუალოდ შინაგან საქმეთა მინისტრი გიორგი ბარამიძე ხელმძღვანელობდა, 10 ვერტმფრენით მესტიის რაიონის სოფელ ეცერში ჩაფრინდა და პირველი იერიში აფრასიძეების სახლზე მიიტანა.

სოფელი ეცერი ცნობილია, როგორც კრიმინალთა თავშესაფარი, სადაც ისინი წლების განმავლობაში ხელშეუხებლად ითვლებოდნენ. უშუალოდ აფრასიძეებს უკავშირდება სვანეთში მომხდარი თითქმის ყველა დანაშაული, მათ შორის - გახმაურებული მკვლელობები და ადამიანის გატაცებები. ჩვენ კი კლანბე-

ბარამიძე A7 ბავარდვა



ერთ-ერთი აფრასიძე ქუთაისში გადააწყვეთ.

## ოვ, ეს ფორმულა "ბათუმი-თბილისი"

ქალი მაკავერსი  
გაბა სულხანიშვილი  
ბათუმი, 20 მარტი

ჩლოქის ადმინისტრაციულ საზღვარს შუადღის 12 საათისთვის მივადექით. ოთხნი ვიყავით: კელი მაკვერსი - ამერიკელი ჟურნალისტი ეროვნული საზოგადოებრივი რადიოდან, მისი მეუღლე ნათანი, მძღოლი ირაკლი ზვიადაძე და მე - გუგა სულხანიშვილი. ჩვენს დელეგაციას ორი "ბეტეერი" და სამხედრო ფორმიანი, ავტომობილი პირები დახვდნენ. ზოგი ნიღბით იყო, ზოგიც უნიღბოდ; ზოგი იქვე იხსინდა, ზოგიც - საქაროდ იკეთებდა... "ასეა საქაროდ," - მითხრა ერთ-ერთმა. მესაზღვრემ მანქანის მონაცემები დავთარში შეიტანა, პირადობის მონომები გამოგვართვა და ჩვენი ვინაობით დაინტერესდა. მოვასხენეთ, რომ გიორგი აბაშიძესთან ინტერვიუს ასაღებად მივიდიოდით.

ბარამიძე B1 ბავარდვა



"ქმარი" - დღის მუქზე.

## თანამედროვე ქართული ხელოვნების კიდევ ერთი მიღწევა

ამერიკის შეერთებული შტატების კულტურული კონვენციის საბჭომ პოეტის დათო მალრადე ჰარმონიული სამყაროს შექმნაში შეტანილი წვლილისთვის ოქროს არწივით დააჯილდოვა.

კემბრიჯის ოქროს მედლის შემდეგ ეს პოეტის მეორე წარმატებაა საერთაშორისო ასპარეზზე.

ვულოცავთ დათო მალრადეს ამ გამარჯვებას და შემოქმედებით წარმატებას ვუსურვებთ.



დათო მალრადე



პრიზი 'ოქროს არწივი'

## ხელფასგაზრდილი მთავრობის უახლოესი გაბეგბე

თამარ ხორბალაძე

საქართველოს მთავრობა პირობას ასრულებს და საკუთარ წევრებს ქრთამის აღების "მორალურ მოტივაციას" უსპობს. სწორედ ამ მიზანს ემსახურება საჯარო მოსამსახურეთა ფინანსური სტიმულირების პროექტი, რომელიც გუშინდელი მთავრობის სხდომის ერთ-ერთი საკითხი გახლდათ, თუმცა, თავად ხელისუფლებაში ირწმუნებიან, რომ მთავრობის სხდომაზე ეს სულაც არ ყოფილა მთავარი თემა. გუშინდელი სხდომა ახალი მთავრობისთვის უპრეცედენტოდ დიდხანს - 4 საათს გაგრძელდა და მასზე 17 საკითხი განიხილეს.

ბარამიძე A8 ბავარდვა

## რუსული ქაშიტალი საქართველოში

რუსიდან ნიქარაძე  
საპ. კორ. მოსკოვი

22 თებერვალს, ორგანიზაცია საქმიანი რუსეთის - რუსული ბიზნესელიტის წარმომადგენლებისა და მიხეილ სააკაშვილის შეხვედრაზე გადაწყვიტა რუსული და ქართული ბიზნესის უფრო მჭიდრო ურთიერთობა. გზებიც დაისახა, პროექტებიც მოიხაზა. 23 მარტს კი მოსკოვში საქართველოს საელჩოში შეკრებილმა რუსმა ბიზნესმენებმა და რუსეთში მცხოვრებმა ქართველმა საქმიანი წრეების წარმომადგენლებმა არაკომერციული ასოციაცია რუსეთ-საქართველოს საქმიანი თანამშრომლობა დააფუძნეს. სხდომა მიჰყავდა რუსეთის ფედერაციაში საქართველოს ელჩს კონტე კემულარას, რომელმაც იმ დღეს კრებულში რწმუნებათა სიგელი ჩააბარა რუსეთის პრეზიდენტს. შედგა პუტინ-კემულარას 4-წუთიანი საუბარიც.

ბარამიძე A5 ბავარდვა

## მიხეილ საკაშვილი - "ბრძოლის" წინა ხაზზე

გიორგი ასანიშვილი

"კიდევ კარგი, რევოლუცია მოხდა, თორემ ედუარდ შევარდნაძე კიდევ სამი თვე რომ ყოფილიყო საქართველოს პრეზიდენტი, ჩვენი არმია, შეიარაღების მხრივ, ერეკლე მეორის დროინდელზე უარეს მდგომარეობაში აღმოჩნდებოდა", - აცხადებს მიხეილ სააკაშვილი, რომელიც გუშინ ვაზიანის პოლიგონზე ჩატარებულ სამხედრო წვრთნას დაესწრო. პრეზიდენტმა დურბინით მიიღვნა თვალი, სატანკო ოცულებმა როგორ შეუტია პირობით მოწინააღმდეგეს, მასზე ცეცხლოვანი დარტყმები განახორციელა და, სამიწუნების განადგურების შემდეგ, საწყის

ბარამიძე A8 ბავარდვა

## ცნობილი და რეგიონი უფლებამოსილებებზე ინყებან საუბარს

ლელა მჭედლიძე

საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარე ჯონი ხეცურიანი ორი დღის განმავლობაში ბათუმში იმყოფებოდა და აჭარის ხელისუფლების წარმომადგენლებთან შეხვედრებს მართავდა.

ბარამიძე A2 ბავარდვა





**ნაკლებად ცნობილი მხარეები ბათუმის ნავთობის ტერმინალის შესახებ**

ბათუმის ნავთობის ტერმინალის 95 %-ის მფლობელი უცხოელებია. შესაკუთრებმა შეიტანეს შეერთებული შტატების კომბინირებული კერძო კაპიტალი (თავიდანვე OPIC-ის - აშშ-ს სახელმწიფო ორგანიზაცია - მიერ დაფინანსებული), ისევე როგორც შეიცვალა და დანიელმა ინვესტორებმა.

ბათუმის ნავთობის ტერმინალი წარმოადგენს ერთ-ერთ უდიდეს ნავთობტერმინალს საქართველოში. ამ უკანასკნელს შემდეგ ადგილს იკავებენ სუფსისა და ფოთის ტერმინალები.

ბათუმის ნავთობის ტერმინალში იტვირთება ნავთობპროდუქტების თითქმის 60 %-ი, რომელიც საქართველოს ნავთობის სატრანზიტო კორიდორით გადის მსოფლიოს სხვადასხვა ბაზარზე.

ბათუმის ნავთობის ტერმინალში იტვირთება მხოლოდ სარკინოგზით ხაზით შემოსული 17 სხვადასხვა სპეციფიკაციის ნედლი ნავთობი და ნავთობპროდუქტი. ის არც არსებულ და არც სამომავლოდ დაგეგმილ რეგიონალურ მილსადენებს არ უწევს კონკურენციას.


ბათუმის ნავთობის ტერმინალის მფლობელებმა 1999 წლიდან საქართველოში 75 მილიონი აშშ დოლარის ინვესტიცია დააბანდეს. აქედან 52 მილიონი აშშ დოლარი დაეთმო ტერმინალის რეაბილიტაციასა და მოდერნიზაციას.

ბათუმის ნავთობის ტერმინალში დასაქმებულია 2000-ზე მეტი ადგილობრივი მცხოვრები და ის აფინანსებს არაერთ სოციალურ და საქველმოქმედო პროგრამას.


ბათუმის ნავთობის ტერმინალის მფლობელებმა 2004 წლის ბოლოსათვის დაასრულებენ 5 წლიან საინვესტიციო პროგრამას საქართველოში. მათ 100 მილიონ აშშ დოლარზე მეტი ინვესტიცია აქვთ დაბანდებული ამ ქვეყანაში.



გადატვირთვის მოცულობები



გადატვირთვის ტარიფები



**ბათუმი თიდ ტერმინალ ლიმიტედი**

**ბათუმი**  
 შაიაკოვსკის ქ. 4  
 ბათუმი, საქართველო  
 ტელ.: + 995 222 760 06  
 ფაქსი: + 75 01 940 45 07

**ლონდონი**  
 გროსვენორის ქ. 18  
 ლონდონი, დიდი ბრიტანეთი  
 ტელ.: + 44 20 76 29 18 18  
 ფაქსი: + 44 20 74 99 84 35

**თბილისი**  
 თავისუფლების მოედანი, 4  
 თბილისი, საქართველო  
 ტელ.: + 995 32 922 567  
 ფაქსი: + 995 32 922 569







# აფრასიძეების ისტორია დასრულდა

პირველი ავარჯიანი

ის თარეშს არ შევუიღვებო, - განაცხადა სპეცოპერაციის დასრულების შემდეგ შინაგან საქმეთა მინისტრმა და სპეცოპერაცია წარმატებულად შეაფასა.

## აფრასიძეების ოჯახის მოკლე ისტორია

ევგენი აფრასიძის ოჯახის კრიმინალური ისტორია რამდენიმე ათეულ წელს ითვლის. მკვლელობასთან დაკავშირებით ევგენი აფრასიძის სახელმა, დაახლოებით, 20 წლის ასაკში გაიჟღერა. მან საკუთარ სიძეს ცხრამეტი ტყვია ესროლა. მოსალოდნელი პასუხისმგებლობისგან თავი რომ დაეღწია, ევგენი აფრასიძე მესტიისში გაიხიზნა, სადაც რამდენიმე ასევე ძებნილი პიროვნება დაუკავშირდა. ასე შეიქმნა აფრასიძის სახელით ცნობილი პირველი დაჯგუფება. ტყეში გახიზნული, ცეცხლსასროლი იარაღით შეიარაღებული დაჯგუფება წლების მანძილზე ყაჩაღობითა და სხვა დანაშაულებით ირჩენდა თავს. მაშინდელმა მილიციამ, რამდენიმე უშედეგო მცდელობის შემდეგ, დანაშაულების დაჭერა რომ ვერ მოახერხა, აფრასიძისთან მოლაპარაკება დაიწყო. საბოლოოდ გარიგება ევგენი აფრასიძის რამდენიმეწლიანი პატიმრობით დასრულდა. მისი დაჯგუფება კი დაიშალა.

ამის შემდეგ ევგენი აფრასიძეს გამოძიება არღვლიანის და უშხვანის მკვლელობაში მისმა ერთ-ერთმა შვილმა ომეზ აფრასიძემ გააგრძელა. მან მესტიისში ურთიერთშელაპარაკების ნიადაგზე მოკლა ვიზლიანი, მოგვიანებით კი - დადეშქელიანი. ორივე ფაქტზე აღიარება სისხლის სამართლის საქმე და მასზე გამოცხადებული იყო ძებნა, მაგრამ შვილი აფრასიძე სამართალდამცველებს ტყეში აღარ დამალვია. როგორც სვანეთში ამბობენ,



დროებით დაკავებული ევგენიები.

თავდაცვის მიზნით თავდაპირველად თავად აფრასიძეების ოჯახი შეიარაღდა ცეცხლსასროლი იარაღით, მოგვიანებით კი შეიარაღებულ ციხე-სიმაგრეს დაემსგავსა მთელი სოფელი, რომელიც აფრასიძეებს ემორჩილებოდა. აქედან იწყება აფრასიძეების ოჯახის სვანეთში კონტროლის მეორე ეტაპი. როგორც ამბობენ, სვანეთში მომხდარი ყველა სერიოზული დანაშაულის კვალი ადამიანების გატაცება, მკვლელობები, უცხოელი ტურისტების დაყაჩაღება და ა.შ., სწორედ ომეზ აფრასიძის სახელს უკავშირდება. ამასთან ეს ოჯახი აკონტროლებდა სვანეთში ნარკო და ხე-ტყის ბიზნესს, არაოფიციალური გადასახადი ჰქონდათ დანესებულნი გზებზე და ა.შ. განზრახ მკვლელობის მუხლით ომეზ აფრასიძეზე ძებნა, დაახლოებით, 15 წლის წინ გამოცხადდა, მაგრამ შეიარაღებული შეტაკებისა და სისხლისღვრის მიშით აფრასიძის დაპატიმრება სამართალდამცველებს, ფაქტობრივად, არც უცდიათ. სამაგიეროდ, გავრცელებული ხმებით, სოფელ ეცერში პოლიციელები ხშირად სტუმრობდნენ და აფრასიძეებს სხვადასხვა პრობლემების მოგვარებაში დახმარებას სთხოვდნენ.

როგორც ჩანს, აფრასიძეების ხელშეუხებლობა იმდენად მყარი იყო, რომ დღემდე სვანეთში ჩატარებული არც ერთი სპეცოპერაცია ოჯახს არ შეხებია, არადა ყველასთვის კარგად იყო ცნობილი, რომ მძიმე დანაშაულისათვის არაერთი ძებნილი სწორედ აღნიშნულ სოფელს აფარებდა თავს. სხვათა შორის, აფრასიძეების შემორიგება სამი წლის წინ შინაგან საქმეთა ყოფილმა მინისტრმა კობა ნარჩეშვილიმაც სცადა. მაშინ ევგენი აფრასიძემ სამართალდამცველებს (რამდენიმე დანაშაულის მიტევების სანაცვლოდ) იარაღის არსენალი, მათ შორის - ოთხი ავტომატი ჩააბარა. ბოლოს ომეზ აფრასიძე სამართალდამცველთა ყურადღების ცენტრში კახი კალაძის ძმის - ლევან თუმცა, როგორც თავად სამართალდამცველები ირწმუნებიან და როგორც გამოძიებითაც დადასტურდა, ომეზ აფრასიძეს უშუალოდ გატაცებასთან არანაირი კავშირი არ ჰქონია. საქმე ეხება ფულის გამოძალვის ფაქტს. სხვათა შორის, თაღლითური გზით ფულის გამოძალვის მუხლით შინაგან საქმეთა მინისტროში სისხლის სამართლის საქმე დამოუკიდებლად არის აღძ-



შს მინისტრი თავად ხელმძღვანელობდა ოპერაციას.

რული. როგორც შს სამინისტროს განსაკუთრებულ საქმეთა განყოფილების უფროსმა ბათო სალინაძემ ჩვენთან საუბარში აღნიშნა, აფრასიძემ კალაძეების ოჯახს 200 ათასი დოლარი გამოსცადა. ჩვენი ინფორმაციით კი, თანხის გამოძალგა ასე მოხდა: კალაძეების ოჯახში ჩვენთვის ჯერჯერობით დაუდგენელი პიროვნება მივიდა და უთხრა, ლევან კალაძის გატაცების შესახებ ომეზ აფრასიძეს ინფორმაცია აქვს და 500 ათას დოლარს თუ გადაიხდით, 20 დღეში მივალს დავაბრუნებო. დასახელებული თანხა კალაძეებმა აფრასიძეს მართლაც გაუზღვეს. სანდო წყაროს ცნობით, აფრასიძეს გატაცებასთან შეხება არ ჰქონდა, ამიტომ თანხის ნაწილი - 400 ათასი დოლარი უკან დააბრუნა, 100 ათასი დოლარი თვითონ დაიტოვა; დარჩენილი 400 ათასიდან კი 100 ათასი აფრასიძე-პოლიცია-კალაძეების წილებით ატყუვრელ პირს შორის გაუწინარდა.

## სპეცოპერაცია ეცერში

ჩვენი ინფორმაციით, სვანეთში სპეცოპერაციის დაგეგმვამდე ერთი თვის ადრე შინაგან საქმეთა მინისტრომ, სისხლისღვრის აცი-

ლების მიზნით, ომეზ აფრასიძესთან ჩაბარების თაობაზე მოლაპარაკება დაიწყო. სამაგიეროდ, სამართალდამცველები ხელშეუხებლობას პიროვნებებზე თავად ევგენი აფრასიძეს და მის ორ ვაჟს გონა და შვაგი აფრასიძეებს, რომლებიც იყო პოლიციის ჩაბარებული არ იმისილებოდნენ. სანდო წყაროს ცნობით, ომეზ აფრასიძე თანხაში იყო პოლიციის ჩაბარებული, მაგრამ ამის ნინაღამდე იყო მამა - ევგენი აფრასიძე. შინაგან საქმეთა და უშიშროების სამინისტროების გადამწყვეტილებით, ერთიანი უშედეგო მოლაპარაკების შემდეგ, სპეცოპერაცია სპეცოპერაცია დაიგეგმა. სპეცდანიშნულების რაზმები, 200 კაცი შემადგენლობით, 10 ვერტიკალური სოფლის თავზე დილის 7 საათზე გამოჩნდნენ. შინაგან საქმეთა მინისტრის გიორგი ბარამიძის განცხადებით, აფრასიძეებმა ვერტიკალურების ცეცხლი ტყვიამფრქვევებიდან პარკულაზე გაუხსნეს და რამდენიმე ტყვია მოახვედრეს კიდევ. თვითმხილველთა თქმით, სროლები სხვა ოჯახებთანაც ისმოდა. 40-წუთიანი ორმხრივი სროლის შემდეგ სპეცოპერაციის პირველი ეტაპი დასრულდა.

## საბაჟო დეპარტამენტის ყოფილი უფროსიც იზოლაციაში აღმოჩნდა

გუშინწინ ხუთსაათიანი დაკითხვის შემდეგ გენერალური პროკურატორიდან პოლიციის წინასწარი დაკავების საკანში გადაყვანილი საბაჟო სამსახურის თანამდებობიდან ახლად გათავისუფლებული ლევან ქისტაური გუშინ ხელოვნობით მთავრდა-კრწანის რაიონის სასამართლოში მიიყვანეს. იქიდან კი პირდაპირ ორთაჭალის საპრობოლემო გადაიყვანეს. ვერ გავიგე, რაში მეუბნება პირადი რატომ არის საბაჟო ჩემი თავისუფლებაში ყოფნა, ამ სიტყვებით დატოვა სასამართლოს შენობა ლევან ქისტაურმა.

მთაწმინდა-კრწანის რაიონულმა სასამართლომ დააკავშირა პროკურატურის შუამდგომლობა და ლევან ქისტაურს წინასწარი სამთვინი პატიმრობა შეუფარდა. არადა, საბაჟოს უფროსის დამატარებამდე გენერალურ პროკურატურაში იმედოვნებდნენ, რომ ეჭვიტანილი ლევან ქისტაური გამოძიებასთან თანამშრომლებდა და საჭირო არ გახებოდა მისი პატიმრობაში ყოფნა; თუმცა თანამდებობიდან გათავისუფლებისთანავე ადვოკატთან ერთად დაითხვან მისულ ქისტაურს ხელობრივად გენერალურ პროკურატურაში გადასვლა. გენერალურმა პროკურატურამ ლევან ქისტაურს სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენების ბრალდება წაუყენა, თუმცა ეს ბრალდება მის ადრინდელ თანამდებობას - აქციზური მარკების სასახურის უფროსობას უკავშირდება. გამოძიება მას ბრალს სდებს საგადასახადი დეპარტამენტის აქციზური მარკების სამსახურის უფროსის თანამდებობაზე მუშაობის პერიოდში 900 ათასი ლარის ღირებულების აქციზური მარკების არაკანონიერად გაცემაში. როგორც გენერალურ პროკურატურაში განმარტავენ, ქისტაურს საკმაოდ მძიმე კატეგორიის დანაშაულები ედება ბრალი და არის საპრობოლემო ინიციატივა მისი დაპატიმრება თავი აარიდოს. სწორედ ეს არგუმენტი მომშველია მოსამართლემ გუშინდელი გადაწყვეტი-

ლების გამოტანისას. შეგახსენებ, მთაწმინდა-კრწანის რაიონულმა სასამართლომ აქციზური მარკების საქმესთან დაკავშირებით ორი დღის წინ თანამდებობრივი უფლებამოსილების გადაშეღების ბრალდებით წინასწარი სამთვინი პატიმრობა შეუფარდა სახელმწიფო საგადასახადი დეპარტამენტის უფროსის ყოფილ მოადგილეს ლევან კალანაძეს და აქციზური მარკების სასახურის უფროსის მოადგილეს გიორგი ბერუზაშვილს. ამავე საქმეზე ეჭვმიტანილად არის ცნობილი და უკვე იმდენმა საგადასახადი დეპარტამენტის ყოფილი უფროსი იასე ზაუტაშვილი. სასამართლო დაკითხვაზე იძულების წესით მისი წარმოდგენის ბრძანება ომდენიმე დღის წინ გასცა. ლევან ქისტაურის ადვოკატი დავით ბესელია მისი დაცვის ქვეშ მყოფისთვის წარდგინდა ბრალდება სადავლო მიჩინვეს და აცხადებს, რომ არსებობს აქციზური მარკების გაცემის დებულება, რომლის არც ერთი პუნქტი ქისტაურს არ დაურღვევია. მისივე განმარტებით, "ბრალი დაუდგინდა და გულგრილობის მუხლით უნდა იყოს ნაყენებული და არა განზრახ ჩანდელი დანაშაულის მუხლით, რადგან ქისტაურს აქციზური მარკების გაცემის არც ერთ ნებართვაზე ხელი არ მოუწერია".

24 საათი

## კულტურული მემკვიდრეობის სავალი მეთოდური მითვალყურა

კომპანია "ბი-პი"-ს მილსადენების პროექტების ფარგლებში და "ბი-პი"-ს უშუალო ხელმძღვანელობით, შპს "IRA" კონკურსზე ინვესტორთაგან დიდ კვალიფიცირებულ პირებს კულტურული მემკვიდრეობის სავალი მეთოდური მითვალყურის თანამდებობის დასაკავებლად.

### სამუშაოს აღწერა:

კულტურული მემკვიდრეობის სავალი მეთოდური უზრუნველყოფის ობიექტზე მიმდინარე ყველა სამუშაოს შესაბამისობას კონტრაქტის ერთ-ერთი გარემოსდაცვითი პირობის - პროექტის "კულტურული მემკვიდრეობის მართვის გეგმის" (CHMP) მიზნებთან. კერძოდ, იგი განახორციელებს სამუშაოს ობიექტებზე არსებული არქეოლოგიური და მინისზედა ძეგლების და მიმდინარე სამუშაოების შემონახვას პროექტის CHMP-ის IV ფაზით გათვალისწინებული შესაბამისი პროცედურების საფუძველზე. სავალი მეთოდური ანგარიშვალდებული იქნება "ბი-პი"-ს წინაშე და დაეხმარება მას მილსადენის პროექტის უსაფრთხო განხორციელებაში, არქეოლოგიური და მინისზედა ძეგლებზე ზემოქმედების მინიმუმამდე დაყვანის გზით. იგი ურთიერთობა დაამყარებს გარეშე დანესებულებებთან მხოლოდ "ბი-პი"-ს თანხმობით.

### მოვალეობები და პასუხისმგებლობა:

- ძირითადი მოვალეობები მოიცავს, თუმცა არ იფარგლება შემდეგით:
  - მშენებლობისას მინის საფუძვლების მონიტორინგის ჩატარება, რომლის დროსაც შეიძლება გამოვლინდეს უცნობი არქეოლოგიური მასალები და მონიტორინგის შედეგად მოპოვებული დადებითი და უარყოფითი მონაცემების შესახებ ყოველდღიური ანგარიშების მომზადება.
  - სამუშაოს სამუშაოების მინისზედა ძეგლების დაცვის პროცედურებთან შესაბამისობის მონიტორინგი და აღნიშვნულთან დაკავშირებით ყოველდღიური ანგარიშების წარდგენა.
  - ობიექტის ზედამხედველობის შემცობით რეკომენდაციის მიცემა მშენებლობის კონტრაქტორისთვის ან/და გარემოსდაცვითი სავალი ზედამხედველისთვის, CHMP-ის მიზნების მიღწევის მიზნით.
  - გარემოსდაცვითი და სოციალური სფეროს სავალი ზედამხედველის მიერ შემუშავებულ ტრენინგის პროგრამაში მონაწილეობის მიღება.
  - პროექტის სხვა სავალი პესონალისთვის მითითებების მიცემა კულტურული მემკვიდრეობის საკითხების გათვითცნობიერების და დაცვის კუთხით.
  - ყოველდღიური მონიტორინგის საქმიანობის აღრიცხვა და სპეციალური ანგარიშების მომზადება.
  - საჭიროებისამებრ ზედამხედველის საქმის კურსში ჩაყენება კონტრაქტორისთვის საორიენტაციო შეხვედრის ჩატარება და მისი დახმარება პროექტის კულტურული მემკვიდრეობის საკითხების ირგვლივ კონტრაქტორისთვის საორიენტაციო შეხვედრის ჩატარება და მისი დახმარება პროექტის კულტურული მემკვიდრეობის საკითხების ირგვლივ სპეციალურად დასახელებული ინსტრუქციების მომზადებაში.
  - შესაბამისი გამაფრთხილებელი ნიშნულების და შემოღობვის დამზადება, განთავსება და შენარჩუნება არქეოლოგიური რესურსებისა და ისტორიული ძეგლების დასაცავად.
  - არქეოლოგიური კვლევის ცენტრისა და "ძველთა დაცვის დეპარტამენტისთვის" ფაქსით დროული შეტყობინებების გაგზავნა არქეოლოგიური და მინისზედა ძეგლების მნიშვნელოვანი გვიანი აღმოჩენების შესახებ და ამ აღმოჩენების კოორდინირება აღნიშნული სახელმწიფო დანესებულებების შესაბამის წარმომადგენლებთან.
  - შემთხვევითი აღმოჩენების მნიშვნელობის წინასწარი შესწავლა.

### მოთხოვნები:

- კვირაში ექვსი დღე სავალი ბანაკებში ცხოვრებისთვის მზადყოფნა
- სასურველია გამოცდილება მილსადენის მშენებლობის მეთოდებში
- ურთიერთობის კარგი უნარი და კომუნიკაბლობა
- ინგლისური ენის თავისუფლად ფლობა (ანგარიშგება წარმოებს წერილობით და ზეპირად ინგლისურ ენაზე)
- რეგიონის არქეოლოგიის, ისტორიის და გეოლოგიის ცოდნა
- სხვადასხვა ტიპის ობიექტებზე არქეოლოგიური კვლევების და დაზვერვის სამუშაოების ჩატარების ფართო გამოცდილება
- სულ მცირე 3 წლის გამოცდილება შესაბამის დარგში ან შესაბამისი მოვალეობის შესრულების კუთხით
- კონტრაქტორის თანამშრომლებთან მჭიდრო მუშაობისთვის მზადყოფნა და უნარი და ობიექტზე კონტრაქტორის საქმიანობაზე ზემოქმედების უნარი
- საქმიანობაში ორგანიზებული, პრაქტიკული და რეალისტური მიდგომა
- "ბი-პი"-ს პრინციპების და ძირითადი ღირებულებების კარგი ცოდნა და ველზე მათი განხორციელებისთვის მზადყოფნა
- MS Word-თან მუშაობის საბაზისო უნარ-ჩვევები, Microsoft Office-ის პროგრამების ცოდნა

### განაცხადის შემოტანის წესი / დამატებითი ინფორმაცია

თუ თვლით, რომ გაგანინის საჭირო კვალიფიკაცია და გამოცდილება ზემოთ აღწერილი თანამდებობის დასაკავებლად, გთხოვთ მოგვანოდოთ თქვენი Curriculum Vitae ქვემოთ მითითებულ მისამართზე და შეავსოთ შესაბამისი განაცხადის ფორმა, რომელსაც იქვე მიიღებთ. განაცხადების შემოტანის ბოლო ვადაა 2004 წლის 13 აპრილი, 6:00 სთ. კანდიდატი უნდა იყოს საქართველოს მოქალაქე.

ყველა მიღებული განაცხადი განიხილება, რაც არ გულისხმობს იმას, რომ ყველა კანდიდატი გაივლის გასაუბრებებს და მიიღებს სამუშაოს შემოთავაზებას.

კადრების განყოფილება  
"ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენის კომპანია"  
"ბი-პი" ჯორჯია  
საქართველო, თბილისი, საბურთალოს ქუჩა N38

24 საათი




















მორიგი მსვარი



ბრაზილიაში მელ გიბსონის ფილმის - "ქრისტეს ვენების" ჩვენებისას ინფარქტით 43 წლის მღვდელი გარდაიცვალა.

ას, - ამბობს დარბაზში მყოფთაგან ერთ-ერთი. პრესვიტერთან ერთად ფილმს მისივე ორი შვილიც უყურებდა.

არატა ფრანკლინი საავადმყოფოში



ვერჯეტობით არ ხმურდება ცნობილი ამერიკელი მომღერლის ავადმყოფობის მიზეზი.

So Damn Happy. ფართო საზოგადოებისთვის კარგადან ცნობილი მისი შესრულებით სიმღერები: Chain of Fools, (You Make Me Feel Like) a Natural Woman და Freeway of Love.

მადონას სკანა და ამერიკა მოენატრა

18 აგვისტოს ლონდონში Earl's Court-ის საკონცერტო დარბაზში პოპ-მუსიკის დეოფალი მადონა კონცერტს გამართავს.

24 მაისს ლოს ანჯელესში დაიწყო. მომღერალი შეერთებულ შტატებში დარჩენას ორ თვით აპირებს.

საბავშვო ბაზარი 12-მდე. მათორაქა, მაცხადი, მათოთხაქა, მათხუთხაქა ტირაჟის გამარჯვებული ნომრები. 15009446, 15006594, 15001688, 15002030, 15004030, 15002115, 15007292, 15010668, 15011071, 15006799, 16003661, 16000156, 16003489, 16007751, 16002819, 16011397, 16008597, 16006525, 16005769, 16011818. 13006822, 13009824, 13009676, 13003074, 13001562, 13005252, 13003371, 13002895, 13005670, 13007679, 14007967, 14004441, 14000686, 14005361, 14004672, 14006715, 14008463, 14004799, 14000149, 14004362.

საერთაშორისო კულტურულ-საგანმანათლებლო კავშირი "რუსული კლუბი". ნარმობილგანეთ. ალექსანდრე ვერტინის ობილესადმი მიძღვნილ სპექტაკლს. "ყვითელი ანგელოზი". 29 მარტი, 5, 12, 19, 26 აპრილი. "თავისუფალი თეატრი". დასაწყისი 19.00 საათზე. ცნობებისათვის დარეკეთ ტელ: 93-43-36 98-58-21.



მეუღლე ნათია დოლიძე, შვილები ირაკლი და მაია, შვილიშვილი მიხეილი, მამა სერგო, ძმა ვლადიმერი, ცოლის ძმები სოსო და სიმონ დოლიძეები, რძლები მერი მალაფერიძე, ანა ლიხვიციანი, რუსუდან ჭკუასელი, ლაურა შარაბიძე, ნანა გვათუა, მისიშვილები ნატო და ეკა ოჯახებით, ცოლის მისიშვილები მერაბ, თამარ, ანა, ნატო, მიხეილ, გვანცა, სოფიო და თინათინ დოლიძეები ოჯახებით, მძახლები ვასილ და ლალი მალაფერიძეები ღრმა მწუხარებით იუსყებიან რომ გარდაიცვალა. დიმიტრი პაპერმანი. ანაშვიდი ნუთხაბათს და პარასკევს 16 საათზე გამოსვენება შაბათს, 27 მარტს, 14 საათზე. მისამართი: ვაჟა-ფშაველას I კვარტალი, მე-9 კორპ. მე-3 სადარბაზო, ბინა 28.

სომეხური სენარისტაჟისათვის - ბავშვთა ტოლარანტოვის საგანმანათლებლო პროექტი. "შავე ტპე ჩვილდრენ" (ფედერაცია - გადავარჩინოთ ბავშვები) აცხადებს სენარისტთა კონკურსს ბავშვთა სატელევიზიო სერიებისათვის. სატელევიზიო სერიები მიზნად ისახავს ბავშვებში ტოლერანტობისა და კრიტიკული აზროვნების უნარის გამოუმუშავებას პიროვნებათაშორის და საზოგადოებრივი პრობლემების გადაჭრის საქმეში, ასევე კულტურათაშორის ურთიერთობის უნარ-ჩვევების გამოუმუშავებას. სერიები განიხილება 5-11 წლის ბავშვებისათვის, რათა ხელი შეუწყოს ისეთი ღირებულებების ჩამოყალიბებას, როგორც არის ადამიანთა პატივისცემა, სწრაფვა მშვიდობისა და დემოკრატიისაკენ. სატელევიზიო სერიებში გამოყენებული იქნება საქართველოში შექმნილი თოჯინები. სენარისტ ავტორი უნდა იყოს საქართველოს მოქალაქე და უნდა ფლობდეს ქართულ და რუსულ ენებს. დამატებითი ინფორმაციისათვის მიმართეთ ბავშვთა ტოლერანტობის საგანმანათლებლო პროექტის კოორდინატორს მარინა უშვერიძეს. სატელეფონო ზარები მიიღება ყოველდღე შაბათ-კვირის გარდა, 15სთ-იდან 17სთ-მდე, ტელ: 99 64 00; 99 54 54; 93 11 08; 99 65 48. მის: "Save the Children", თბილისი, ბარათაშვილის ქ. 8, III სართ. ელ-ფოსტა: marina@save.org.ge

ბრიტანული სამედიცინო - ფარმაცევტული კომპანია "გლაქსოსმიტკლინი" წარმომადგენლობა საქართველოში აცხადებს კონკურსს სამედიცინო წარმომადგენლის ვაკანსიაზე ქ. თბილისში. მსურველებმა უნდა წარმოადგინონ: - ავტობიოგრაფია ქართულ ენაზე (ძველი საბჭოური სტილის); - ავტობიოგრაფია ინგლისურ ენაზე (ენ. CIVI); - უმაღლესი სამედიცინო განათლების დამადასტურებელი დიპლომის ასლი; - ერთი ფოტოსურათი 3X4; საბუთების მიღება წარმოებს 2004 წლის 26 მარტის 18:00 საათამდე შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, ი. აბაშიძის ქ. 54 ტელ: 25-08-14; 25-24-92

განათლების სამინისტროს საინფორმაციო ტექნოლოგიების ცენტრი "შხიხი" გთავაზობთ: კომპიუტერის შემსწავლელ კურსს თემებით: კლავიატურაზე ბეჭდვის ათვისება მეთოდი, საქმიანი დოკუმენტაციის წარმოება - MS Word, აღრიცხვა, საბუღალტრო-ეკონომიკური ამოცანები - MS Excel, ლოკალური ქსელი, ინტერნეტი, ელ-ფოსტა, ოპერაციული სისტემა Windows. ცენტრში მოუძებნებს სხვა კურსებიც. მისამართი: ე. უხანაძის N70 ტელ: 29-48-61

საქართველოში უნიკალური! შეიძინეთ გაერთეთ! მოიგეთ! ფორმა "ფინიში" ვაჭარების წარმომადგენლებს. ყოველ შაბათს, რუსთაველი 2-ის პირდაპირ ეთერში გაიმართება ტელეკონკურსი "საოჯახო ტოტოს" გათამაშება.

წამალი "სალხინო" ქართული ფლორის საოცრება. თუ განუხებთ პროსტატიტი, ცისტაიტი, ქალური და შარდ-სასქესო ორგანოების დაავადებები; როცა შეიმჩნევა შენელებული და გახშირებული შარდვა, შარდვის დროს წვა, შარდსაღვენი ხველების ბავშვთა მინება, სუნი ან გამოწვევა; აგრეთვე ტკივილი წელის, გავის ძვლის, თირკმელების არეში; შარდის წვეთ-წვეთად გამოყოფა, მოშარდვის სურვილის დაუკმაყოფილებლობა, როცა ვითარდება სექსუალური მოშლილობა და იმპოტენცია, მიიღეთ წამალი "სალხინო" და ეს პრობლემები მოგესწებათ. "სალხინო" აწესრიგებს კუჭ-ნაწლავის მოქმედებას და ხსნის ტკივილებს. "სალხინო" გამოიყენება ჩირქოვანი და ჩირქმზადი ინფექციების სამკურნალოდ, ნაღვლის ბუშტის (ქოლცისტიტი), ჰეპატიტის, გასტრიტის, ნეფრიტის, გინეკოლოგიის, სტომატიტის, ბრონქიტის და სხვა პათოლოგიური დაავადებების დროს. "სალხინო" აკრობს პირის ღრუდან უსიამოვნო სუნს. წამალი "სალხინო" კურნავს სარძევე ჯირკვლების დაავადებებს - მასტოპათიას, მასტიტს. თუ გამოიყენებთ მშობიარობის შემდეგ, აცილებთ მასტიტს და გათმავლებთ ბავშვის კვებას საკუთარი რძით. წამალი "სალხინოს" თვისებები აპრობირებულია და მოწონებულია საქართველოს, რუსეთის, აზერბაიჯანისა და სხვა ქვეყნების ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროების მიერ, იგი რეგისტრირებულია. მიღებული აქვს სახელმწიფო პატენტები და ლიცენზია. იკითხეთ და შეიძინეთ ადრეაქტუა. წამლის ფასი საქართველოს ტერიტორიაზე სამი (3) დოლარის ეკვივალენტს არ უნდა აღემატებოდეს ლარებში.